

მოქალაქეობა

წლიური პროგრამა

სავალდებულო თემები	ცნებები, რომლებიც თითოეულ თემაში უნდა დამუშავდეს
VII კლასი თემატური ბლოკი: ინდივიდი და საზოგადოება	მე, პიროვნება საზოგადოება
1. თემი, რომელშიც ვცხოვრობთ	საზოგადოებრივი ჯგუფები
2. სასკოლო გარემო/სასკოლო საზოგადოება	ადამიანის უფლებები
3. ჯანსაღი ცხოვრება	დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები
4. ბუნებრივი გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა	ინიციატივა, დაგეგმვა
5. ეკონომიკური ურთიერთობები თემში	პროფესია
VIII კლასი თემატური ბლოკი: მოქალაქე და სახელმწიფო	ფინანსები
1. ადგილობრივი თვითმმართველობა	მოხალისეობა
2. ცენტრალური ხელისუფლება	სამოქალაქო მონაწილეობა
3. ეკონომიკა და სახელმწიფო	მდგრადი განვითარება
IX კლასი თემატური ბლოკი: მოქალაქე და გლობალური პროცესები	სამოქალაქო უსაფრთხოება
1. სამშვიდობო პროცესები	ადვოკატირება, ლობირება
2. გარემოს დაცვა	სამართლებრივი დოკუმენტები
3. ეკონომიკა და გლობალური პროცესები	

VII კლასი.

ზოგადი ბლოკი: ინდივიდი და საზოგადოება

<p>თემა: თემი, რომელშიც ვცხოვრობთ</p>	<p>საათების სავარაუდო რაოდენობა – 10 (+4)</p>
<p>საკითხები</p> <ol style="list-style-type: none">1. დაწერილი და დაუწერიელი წესები;2. არასრულწლოვანი და დანაშაული;3. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება.;4. კულტურული მრავალფეროვნება ჩემს გარშემო.	
<p>საკვანძო შეკითხვები</p> <ul style="list-style-type: none">• რა და როგორ აყალიბებს თემში არსებულ ჯგუფებს ერთიან საზოგადოებად?• რატომ არის საერთო სივრცეზე (სადარბაზო, ეზო) ზრუნვა მოქალაქის მოვალეობა?• რატომ და როგორ უნდა განვახორციელო ჩემი საცხოვრებელი გარემოსათვის აქტუალური სათემო აქტივობები? როგორ უნდა ვითანამშრომლო ჩვენს თემში მცხოვრებმა განსხვავებული შეხედულებების/შესაძლებლობების/წარმოშობის ადამიანებმა?• რატომ უარესდება საზოგადოებრივი ურთიერთობები თემში პიროვნული ღირსების შელახვის შემთხვევაში?• რატომ და როგორ უნდა ვიზრუნო ჩემს თემში უსაფრთხო გარემოს შექმნაზე (იმ შემთხვევაშიც კი თუკი ახლო მომავალში ბუნებრივი თუ ტექნოგენური კატასტროფა არ არის მოსალოდნელი)?	
<p>აქტივობები</p>	
<p>იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის</p>	
<p>შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none">• თემში არსებული სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემების იდენტიფიცირება. საკუთარი ჩართულობით მათ გადაჭრაზე ზრუნვა (მოქ.საბ. 2, 4, 5, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13);• სათემო აქტივობების დაგეგმვისას განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან თანამშრომლობა. თემში მცხოვრები ყველა ადამიანის ინტერესის გათვალისწინება (მოქ.საბ.1,2,3,4,5,6,8,9,12);• პირადი და სათემო აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელებისას მდგრადი განვითარებისა და დემოკრატიის პრინციპების გათვალისწინებით მოქმედება (მოქ.საბ. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 12).	
<p>მკვიდრი წარმოდგენები</p> <ul style="list-style-type: none">• საზოგადოება/თემი შედგება ინდივიდებისაგან; თემი უნდა ზრუნავდეს ინდივიდზე და ინდივიდი – თემზე;• თემში განსხვავებული შეხედულებების, ინტერესებისა და ღირებულებების მქონე ადამიანები ცხოვრობენ, თუმცა მათ საერთო საზრუნავი აერთიანებთ;• თემის ყოველდღიურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა/ჩართულობა მასზე ზრუნვას ნიშნავს;• ადამიანის ღირსების პატივისცემა აუცილებელია თემში მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის;• თემის წევრები ქმნიან ამხანაგობებს საერთო პრობლემების მოსაგვარებლად და ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად.	

თემა: სასკოლო გარემო / სასკოლო საზოგადოება

საათების სავარაუდო რაოდენობა – 10 (+4)

საკითხები

1. უსაფრთხო სკოლა;
2. სასკოლო თვითმმართველობა;
3. თანასწორობა სკოლაში;
4. „მწვანე სკოლა“;
5. ბულინგი.

საკვანძო შეკითხვები

- რა და როგორ აყალიბებს სკოლაში არსებულ ჯგუფებს ერთიან სასკოლო საზოგადოებად?
- როგორ გავხდეთ სასკოლო საზოგადოების წევრი? რა მიზლის ამაში ხელს?
- როგორ და რატომ ვთანხმდებით ღირებულებებზე სკოლაში? როგორ აისახება ისინი ჩვენს ქცევაზე?
- რატომ არსებობს სკოლაში თვითმმართველობა? როგორ უნდა გამოვიყენოთ იგი საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად?
- როგორ და რაში იხარჯება სკოლის ფინანსები?
- რატომ და როგორ უნდა ვითანამშრომლოთ სკოლაში განსხვავებული შეხედულებების /შესაძლებლობების/ წარმოშობის ადამიანებმა? რატომ უარესდება ურთიერთობები სკოლაში პიროვნული ღირსებების შელახვის შემთხვევაში?
- რატომ ყალიბდება სკოლაში სტერეოტიპები (მაგალითად, სქესის მიხედვით არათანაბარი შესაძლებლობების შესახებ)?

აქტივობები

იდები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სკოლაში არსებული სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემების იდენტიფიცირება. საკუთარი ჩართულობით მათ გადაჭრაზე ზრუნვა (მოქ.საბ. 2, 4, 5, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13);
- სასკოლო თვითმმართველობაში მონაწილეობა. სკოლაში არსებულ სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან (მაგალითად, სამეურვეო საბჭოსთან) თანამშრომლობა (მოქ.საბ. 1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 9, 12, 13);
- სასკოლო აქტივობების დაგეგმვისას განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან თანამშრომლობა და მათი ინტერესების გათვალისწინება (მოქ.საბ. 1, 2, 3, 4, 5, 6, 8, 9, 12);
- პირადი და სასკოლო აქტივობების დაგეგმვისას მდგრადი განვითარებისა და დემოკრატიის პრინციპების გათვალისწინებით მოქმედება (მოქ.საბ. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 12).

მკვიდრი წარმოდგენები

- სასკოლო საზოგადოებას თავისი წესები და ღირებულებები აქვს; მე, როგორც სასკოლო საზოგადოების წევრს, ჩემი უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები მაქვს;
- სასკოლო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა სკოლაზე ზრუნვას ნიშნავს;
- მოსწავლეებს საკუთარი იდეების, ინტერესებისა და ინიციატივების რეალიზება თვითმმართველობის საშუალებით შეუძლიათ;
- ადამიანის ღირსების პატივისცემა აუცილებელია სკოლაში მშვიდობიანი ურთიერთობებისთვის; სკოლაში კონფლიქტური სიტუაციების არამალადობრივად მოგვარების მრავალი საშუალება არსებობს.

თემა: ჯანსაღი ცხოვრება

საათების სავარაუდო რაოდენობა – 8 (+4)

საკითხები

1. გენმოდიფიცირებული პროდუქცია;
2. გარდატეხის ასაკი;
3. ადრეული ქორწინება;
4. ადიქცია.

საკვანძო შეკითხვები

- რატომ და როგორ უნდა ვიზრუნო საკუთარ ჯანმრთელობაზე?
- რატომ მიიჩნევა პირადი ჰიგიენისთვის საჭირო ნივთები (სარეცხი საშუალება, საპონი, კბილის ჯაგრისი) პირველადი მოხმარების საგნებად?
- რატომ არის კონკრეტული ადამიანის ადიქციური ქცევა მთელი საზოგადოების პრობლემა?
- რატომ და როგორ გადაიქცევა სხვადასხვა ქმედება ადიქციურ ქცევად? როგორ ვთქვა “არა” არასასურველ შემოთავაზებაზე?
- როგორ შეიძლება დაგვეხმაროს (ბიჭებსაც და გოგოებსაც) ფიზიკური აქტივობა (მაგალითად, ვარჯიში) საზოგადოებაში თვითდამკვიდრებაში?
- რატომ არის ადრეული ქორწინება ადამიანის უფლებების დარღვევა? რატომ უშლის ხელს იგი საზოგადოებაში თვითდამკვიდრებას?
- არის თუ არა დაავადებათა პრევენციაში დახარჯული თანხები უფრო მცირე, ვიდრე მკურნალობაში დახარჯული?

აქტივობები

იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- პირადი ჰიგიენისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვის საჭიროებაზე მსჯელობა (მოქ.საბ. 1, 2, 3, 6, 7, 9, 10);
- საკუთარი ფიზიკური აქტივობებისა და ჯანსაღი კვების რეჟიმის დაგეგმვა (მოქ.საბ. 1, 3, 5, 7, 8, 10);
- ადამიანზე და საზოგადოებაზე ადიქციის სხვადასხვა ფორმების მავნე ზემოქმედების შედეგების გაანალიზება (მოქ.საბ. 2, 3, 4, 5, 7, 8, 9, 10, 11, 12);
- საკანონმდებლო დოკუმენტებზე დაყრდნობით იმის გაანალიზება, თუ როგორ შეიძლება გახდეს ადრეული ქორწინება ადამიანის უფლებათა დარღვევის საფუძველი და მისი პიროვნული განვითარებისთვის ხელისშემშლელი ფაქტორი (მოქ.საბ. 1, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 12, 13).

მკვიდრი წარმოდგენები

- პირად ჰიგიენაზე ზრუნვა არა მხოლოდ საკუთარ ჯანმრთელობასა და თავდაჯერებულობას, არამედ ირგვლივ მყოფთა კომფორტსაც განაპირობებს;
- ჯანსაღი კვება და ვარჯიში ჯანმრთელობისა და სილამაზის საფუძველია;
- დამოკიდებულებასთან (მაგალითად, კიბერადიქცია ან თამბაქოზე დამოკიდებულება) გამკლავება ინდივიდუალური ნებისყოფითა და საზოგადოების მხარდაჭერითაა შესაძლებელი;
- ადრეული ქორწინება ხელს უშლის პიროვნულ ზრდასა და განვითარებას, იგი ხშირად წარმოადგენს ადამიანის უფლებათა (რეპროდუქციული ჯანმრთელობის, განათლების და სხვ.) დარღვევის საფუძველს;
- ჯანმრთელობაზე ზრუნვა დაავადებებისაგან და გაუთვალისწინებელი ფინანსური ხარჯებისაგან გვიცავს.

თემა: გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა

საათების სავარაუდო რაოდენობა– 10(+4)

საკითხები

1. ვანდალიზმი;
2. ბრაკონიერობა.

საკვანძო შეკითხვები

- რატომ უნდა ვიზრუნოთ გარემოზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესში ვერ დავინახავთ მომენტალურ შედეგებს?
- რატომ და როგორ უნდა ვიზრუნო კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე?
- რატომ არის რესურსების რაციონალური გამოყენება (წყლის ეკონომიური მოხმარება, რესურსების მეორადი გადამუშავება) სამოქალაქო ცნობიერების გამოვლინება?
- რატომ არის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა წარსულის პატივისცემასთან ერთად, მის აწმყოსა და მომავლზე ზრუნვაც?
- რატომ და როგორ უწყობს ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ხელს მხარის/თემის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას?

აქტივობები

იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის

შეფასების ინდიკატორები - *მოსწავლემ უნდა შეძლოს:*

- ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საჭიროების დასაბუთება (მოქ.საბ. 3, 4, 7, 9, 10, 11, 13);
- საკუთარ დასახლებაში/ რეგიონში არსებული ეკოლოგიური, გარემოსდაცვითი, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება; საკუთარი ჩართულობით მათ გადაჭრაზე ზრუნვა (მოქ.საბ. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12);
- ეკოლოგიური, გარემოსდაცვითი, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზისას მდგრადი განვითარებისა და დემოკრატიის პრინციპების გათვალისწინება (მოქ.საბ. 3, 4, 9, 10, 11, 13).

მკვიდრი წარმოდგენები

- ბუნებაზე და კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა ქვეყანაზე ზრუნვას ნიშნავს;
- ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა პირველქმნილი სახით არის ღირებული;
- არსებობს მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა;
- კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა საზოგადოების კეთილდღეობას განაპირობებს;
- ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაზიანება დანაშაულია და კანონით ისჯება.

თემა: ეკონომიკური ურთიერთობები თემში

საათების სავარაუდო რაოდენობა – 10 (+4)

საკითხები

1. ფული და ბარტერი;
2. ინვესტიციები ჩვენს გარშემო.

საკვანძო შეკითხვები, რომლებზეც მოსწავლე თემის სწავლების პროცესში უნდა დაფიქრდეს:

- რატომ, რას და როგორ ცვლიან ადამიანები?
- რატომ არის საჭირო ფული?
- როგორ შევაფასოთ საკუთარი შესაძლებლობები? როგორ ვაკეთებთ არჩევანს?
- რა ახდენს გავლენას ხარჯვით გადაწყვეტილებებზე?
- როგორ თანხმდებიან ამა თუ იმ პროდუქტის, მომსახურების და ა. შ. ფასზე? რა განაპირობებს ფასების ცვალებადობას?
- რატომ და როგორ უწყობს ხელს კონკურენცია ეკონომიკის განვითარებას?
- როგორ შევაფასოთ საკუთარი შესაძლებლობები?
- როგორ მივალწიო მოკლე და გრძელვადიან მიზნებს?
- რატომ და როგორ უნდა დაგვეგმო საკუთარი ბიუჯეტი?
- როგორ გავარჩიოთ საჭიროება და სურვილი? როგორ ვხარჯოთ თანხა გონივრულად?
- როგორ გამოვიყენო ფული სხვის დასახმარებლად?

აქტივობები

იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის

შეფასების ინდიკატორები - *მოსწავლემ უნდა შეძლოს:*

- კონკრეტული მიზნების შესაბამისად პირადი ბიუჯეტის დაგეგმვა (მოქ.საბ. 1, 3, 5, 6, 7, 10);
- გააანალიზოს, თუ რას (ნივთები, სერვისი) და როგორ ცვლიან ადამიანები; რა ლოგიკით იღებენ ამა თუ იმ ფინანსურ გადაწყვეტილებას (მოქ.საბ. 2, 3, 4, 5, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13);
- გააანალიზოს, თუ როგორ ყალიბდება ბაზარი ცალკეული ადამიანების ეკონომიკური აქტივობის შედეგად (მოქ.საბ. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 12).

მკვიდრი წარმოდგენები

- კერძო საკუთრება ხელშეუხებელია;
- გაცვლა ეკონომიკური ურთიერთობების საფუძველია;
- ბაზრის ჩამოყალიბებას მოთხოვნა-მიწოდების ბალანსი განაპირობებს; სარგებლის მიღება სხვების საჭიროებების დაკმაყოფილებას ნიშნავს;
- ფინანსური გადაწყვეტილებები გარემოებებისა და შესაძლებლობების შეფასების შემდეგ უნდა მივიღოთ;
- ეკონომიკური კეთილდღეობისათვის აუცილებელია პირადი ბიუჯეტის სწორად დაგეგმვა;
- სიმდიდრის დაგროვებას განაპირობებს დაზოგვა და გონივრული ხარჯვა, და არა დიდი შემოსავლები.

VIII კლასი

ზოგადი ბლოკი: მოქალაქე და სახელმწიფო

თემა: ადგილობრივი თვითმმართველობა

საათების სავარაუდო რაოდენობა – 8 (+3)

საკითხები

1. თვითმმართველობის არჩევნები;
2. ურთიერთობა მუნიციპალურ ორგანოებთან.

საკვანძო შეკითხვები

- რატომ არის საჭირო ადგილობრივი თვითმმართველობა? რა ევალუა მას?
- რატომ იყოფა მუნიციპალიტეტი წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებად?
- რატომ აქვს მოსახლეობას საკრებულოს სხდომებზე დასწრების უფლება? რატომ ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტში დასახლების საერთო კრება?
- როგორ შემიძლია ჩემს თემში არსებული პრობლემების (მაგ., საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების, ეკოლოგიის) გადასაჭრელად ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობა?

აქტივობები

იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- მუნიციპალიტეტში არსებული სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემების იდენტიფიცირება. საკუთარი ჩართულობით მათ გადაჭრაზე ზრუნვა (მოქ.საბ. 1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13);
- სათემო აქტივობების დაგეგმვისას მუნიციპალურ ორგანოებთან თანამშრომლობა. თემში მცხოვრები ყველა ადამიანის ინტერესის გათვალისწინება (მოქ.საბ. 1, 2, 3, 4, 5, 6, 8, 9, 10, 12, 13);
- ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობისას მდგრადი განვითარებისა და დემოკრატიის პრინციპების გათვალისწინება (მოქ.საბ. 1, 3, 4, 10, 11, 12, 13).

მკვიდრი წარმოდგენები

- ლოკალური პრობლემების (მაგ., სკვერის ან ეზოს კეთილმოწყობა) მოგვარება ადგილობრივი თვითმმართველობის (და არა ცენტრალური ხელისუფლების) ფუნქციაა;
- თვითმმართველობასთან მოქალაქეების აქტიური თანამშრომლობით ადგილობრივი პრობლემების სწრაფად და ეფექტურად გადაწყვეტა შეიძლება;
- მოქალაქეები ადგილობრივ თვითმმართველობაში არჩევნების, დასახლების საერთო კრების, საკრებულოს სხდომაზე დასწრების, პეტიციების და სხვა საშუალებით მონაწილეობენ;
- საკრებულო და მერია/გამგეობა ანგარიშვალდებულია მოქალაქეთა წინაშე;
- ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობა გამჭვირვალე უნდა იყოს.

თემა: ცენტრალური ხელისუფლება

საათების სავარაუდო რაოდენობა – 8 (+3)

საკითხები

1. საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები;
2. ხელისუფლების შტოები;
3. მასმედია - „მეთხე ხელისუფლება“;
4. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება;
5. ენერგოეფექტურობა.

საკვანძო შეკითხვები

- რატომ და როგორ უნდა იქმნებოდეს კონსტიტუცია?
- რატომ ვმონაწილეობ არჩევნებში?
- რატომ არის აუცილებელი ხელისუფლების დანაწილება? როგორ აბალანსებენ ხელისუფლების შტოების ერთმანეთს?
- როგორ ატარებს მთავრობა თანასწორობასა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ სახელმწიფო პოლიტიკას?
- რატომ და როგორ უნდა ვაკონტროლოთ ხელისუფლება?
- როგორ მოვითხოვო ცენტრალური ხელისუფლებისაგან პრობლემის გადაჭრა?
- რატომ იქმნება ქვეყანაში არასამთავრობო საზოგადოებრივი ორგანიზაციები? რა განასხვავებს მათ მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციებისგან?

აქტივობები

იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სახელმწიფოში არსებული სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემების იდენტიფიცირება. საკუთარი ჩართულობით მათ გადაჭრაზე ზრუნვა (მოქ.საბ. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13);
- სათემო აქტივობების დაგეგმვისას ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან თანამშრომლობა ხელისუფლებასთან ურთიერთობის წესების გამოყენებით (მოქ.საბ. 1, 3, 4, 5, 8, 9, 12, 13);
- პოლიტიკური პროცესების გაანალიზება მდგრადი განვითარებისა და დემოკრატიის პრინციპების გათვალისწინებით (მოქ.საბ. 3, 4, 7, 9, 10, 11, 12, 13).

მკვიდრი წარმოდგენები

- კარგი კონსტიტუცია აუცილებლად ფართო საზოგადოებრივი შეთანხმების შედეგია;
- სახელისუფლებო შტოების დანაწილება სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის აუცილებელი პირობაა;
- დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლება ანგარიშვალდებულია მოსახლეობის წინაშე;
- მოქალაქეები სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში არჩევნების, პეტიციების, არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა საშუალებით მონაწილეობენ;
- პრობლემის გადაჭრის ეფექტიანი მექანიზმი ხელისუფლებისათვის ადმინისტრაციული განცხადებით მიმართვა;
- მედია და არასამთავრობო სექტორი ხელისუფლების კონტროლის საშუალებებია.

თემა: ეკონომიკა და სახელმწიფო

საათების სავარაუდო რაოდენობა – 8 (+3)

საკითხები

1. ბანკი;
2. დაზღვევა;
3. ბიუჯეტი;
4. მომხმარებლის უფლებები.

საკვანძო შეკითხვები

- რატომ არსებობს სხვადასხვა პროფესია?
- რა უფლებები და პასუხისმგებლობები მაქვს მე, როგორც მომხმარებელს?
- რატომ არის მნიშვნელოვანი სამსახურის დაწყებისას შრომითი ხელშეკრულების გაფორმება?
- რატომ უნდა მოვეპყროთ პასუხისმგებლობით ნასესხებ ფულს? რატომ არის საჭირო გავერკვე სესხის პირობებში გადაწყვეტილების მიღებამდე? რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ფინანსური ვალდებულებისთვის თავის არიდებას?
- როგორ უნდა ავწონ-დავწონოთ ფინანსურ პროდუქტთან დაკავშირებული რისკები და შესაძლებლობები?
- როგორ ვირჩევ ფინანსურ მომსახურებას/პროდუქტს?
- როგორ დამეხმარება დაზღვევა ფინანსური რისკების თავიდან არიდებაში?
- როგორ და რატომ ვურთიერთობ ბანკთან?
- რატომ ვიხდით გადასახადებს? რაში ხარჯავს სახელმწიფო ჩვენს მიერ გადახდილ გადასახადებს?

აქტივობები
იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის
<p>შეფასების ინდიკატორები - <i>მოსწავლემ უნდა შეძლოს:</i></p> <ul style="list-style-type: none"> • მომხმარებლის უფლებების გაანალიზება და დაცვა (მოქ.საბ. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13); • ფინანსური გადაწყვეტილებების განხილვისას მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინება (მოქ.საბ. 5, 6, 7, 8, 10, 11, 13); • გაანალიზოს, თუ როგორ იგეგმება სახელმწიფო ბიუჯეტი, რა ლოგიკით მიიღება ესა თუ ის ფინანსური გადაწყვეტილება (მოქ.საბ. 2, 4, 5, 6, 7, 10, 11, 12, 13).
<p>მკვიდრი წარმოდგენები</p> <ul style="list-style-type: none"> • შრომის დანაწილება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს, ამიტომ ყველა პროფესია საჭირო და დასაფასებელია; • კონკურენცია ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს; • მე, როგორც მომხმარებელს, გარკვეული უფლებები და პასუხისმგებლობები მაქვს; • ფინანსური გადაწყვეტილების მიღებამდე ხელშეკრულების პირობებს უნდა გავცენო; • სახელმწიფო ბიუჯეტი მოქალაქეების მიერ გადახდილი გადასახადებით ივსება.

IX კლასი

ზოგადი ბლოკი: მოქალაქე და გლობალური პროცესები

თემა: სამშვიდობო პროცესები	საათების სავარაუდო რაოდენობა – 8 (+3)
<p>საკითხები</p> <ol style="list-style-type: none"> 1. საერთაშორისო საფრთხეები (ტრეფიკინგი, ფუნდამენტალიზმი, ტერორიზმი); 2. საქართველო სამშვიდობო მისიებში; 3. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი; 4. გაერო. 	
<p>საკვანძო შეკითხვები</p> <ul style="list-style-type: none"> • როგორ შემიძლია მონაწილეობა სამშვიდობო პროცესებში? • რატომ შეუძლიათ ქალებს სამშვიდობო პროცესებში პოზიტიური როლის შესრულება? • რატომ აქცევს ძალადობის მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულება ადამიანს/საზოგადოებას/საერთაშორისო საზოგადოებას მოძალადედ? რატომ არის აუცილებელი მოვლენებისთვის (აგრესია/ძალადობა) საკუთარი სახელის დარქმევა? • რატომ წარმოადგენს ამა თუ იმ ქვეყანაში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტი ყველა ქვეყნის პრობლემას? • რატომ არის მართლმსაჯულება (სახელმწიფო და საერთაშორისო დონეზე) მშვიდობის წინაპირობა? • რატომ არის ამა თუ იმ სახელმწიფოს მხრიდან აგრესიული/მილიტარისტული პოლიტიკა საკუთარი მოქალაქეები უფლებების დარღვევა? • რატომ აგებს სახელმწიფო პასუხს მისი, თუნდაც ერთი, მოქალაქის უფლებების დარღვევის შემთხვევაში? • რატომ ხდება არაეფექტური ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების საქმიანობა მოქალაქის 	

<p>პასიურობის შემთხვევაში?</p> <ul style="list-style-type: none"> რატომ განვითარდა ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში?
<p>აქტივობები</p>
<p>იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის</p>
<p>შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> საერთაშორისო საფრთხეების იდენტიფიცირება. მათი გადაჭრის გზებზე მსჯელობა (მოქ.საბ. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13); სამშვიდობო პროცესების გაანალიზება მდგრადი განვითარებისა და დემოკრატიის პრინციპების გათვალისწინებით (მოქ.საბ. 1, 2, 3, 4, 10, 11, 13).
<p>მკვიდრი წარმოდგენები</p> <ul style="list-style-type: none"> ადამიანის უფლებების დაცვა და სამშვიდობო პროცესების უზრუნველყოფა საერთაშორისო ორგანიზაციების (მაგ., გაერო, სტრასბურგის სასამართლო) მთავარი ამოცანაა; ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევა კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია; თავდასხმითი ომის გამოცხადებით სახელმწიფო საკუთარი მოქალაქეების უფლებებსაც არღვევს; საერთაშორისო საფრთხეების (ტერორიზმი, ტრეფიკინგი, ფუნდამენტალიზმი) წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლა ადამიანების, სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევით არის შესაძლებელი; პასიურობა და ნიჰილიზმი ადამიანის უფლებათა დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლას ართულებს; გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტში ბავშვს უფროსებისაგან დამოუკიდებლად შეუძლია განცხადების გაგზავნა.

<p>თემა: გარემოს დაცვა</p>	<p>საათების სავარაუდო რაოდენობა – 8 (+3)</p>
<p>საკითხები</p> <ol style="list-style-type: none"> კლიმატის ცვლილება; მწვანეთა მოძრაობა; ენერჯის ალტერნატიული წყაროები; იუნესკო. 	
<p>საკვანძო შეკითხვები</p> <ul style="list-style-type: none"> როგორ შემიძლია ხელი შევუწყო გარემოს დაცვას საერთაშორისო დონეზე? რატომ აწყდებიან დაბრკოლებებს გარემოს დამცველ საერთაშორისო ორგანიზაციები მუშაობის პროცესში? რატომ არის მნიშვნელოვანი ნარჩენების შემცირება და მათი მეორადი გადამუშავება? უნდა მივიჩნიოთ თუ არა კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლების განზრახ დაზიანება კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად? 	

აქტივობები
იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის
<p>შეფასების ინდიკატორები - <u>მოსწავლემ უნდა შეძლოს:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საჭიროების დასაბუთება (მოქ.საბ. 1, 2, 3, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 13); • მსოფლიოში არსებული ეკოლოგიური, გარემოსდაცვითი, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პრობლემების ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირება; საკუთარი ჩართულობით მათ გადაჭრაზე ზრუნვა (მოქ.საბ. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13); • ეკოლოგიური, გარემოსდაცვითი, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზისას მდგრადი განვითარებისა და დემოკრატიის პრინციპების გათვალისწინება (მოქ.საბ. 3, 4, 5, 7, 10, 11, 13).
<p>მკვიდრი წარმოდგენები</p> <ul style="list-style-type: none"> • ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის განზრახ დაზიანება კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს უტოლდება; • გარემოს დაცვა იგივე ჩვენი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაა; • ჩვენს ლოკალურ ქმედებებს შეიძლება გლობალური შედეგები მოჰყვეს (მაგ. მდინარის დაბინძურება - მსოფლიო ოკეანის დაბინძურება); • გლობალური ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება ინდივიდის ერთი შეხედვით უმნიშვნელო ქმედებებზეა დამოკიდებული (მაგ., პოლიეთილენის პარკზე უარის თქმა); • გარემოს დაცვაზე ბევრი საერთაშორისო ორგანიზაცია ზრუნავს.

თემა: ეკონომიკა და გლობალური პროცესები	საათების სავარაუდო რაოდენობა – 8 (+3)
<p>საკითხები</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ქველმოქმედება; 2. ფინანსური თაღლითობა; 3. საბაზრო ეკონომიკა; 4. ვალუტის კურსი. 	
<p>საკვანძო შეკითხვები</p> <ul style="list-style-type: none"> • რატომ არის ხელსაყრელი საქონლის, მომსახურების, კაპიტალის, შრომის თავისუფალი გადაადგილება? • რატომ არის სასარგებლო საერთაშორისო ვაჭრობა ეკონომიკისთვის და ცალკეული მომხმარებლისათვის? • რატომ ესწრაფვის ზოგიერთი ქვეყანა ეკონომიკურ ინტეგრაციას? • რატომ არის საჭირო ეროვნული ბანკი და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები? • რა გავლენა აქვს ვალუტის კურსის ცვლილებას ადამიანებზე და პირად ფინანსურ გადაწყვეტილებებზე? როგორ აისახება ვალუტის კურსის ცვლილება ექსპორტისა და იმპორტის ფასზე? 	

აქტივობები

იდები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის

შეფასების ინდიკატორები - *მოსწავლემ უნდა შეძლოს:*

- საერთაშორისო ვაჭრობისა და ეკონომიკური ინტეგრაციის დადებითი და უარყოფითი მხარეების გაანალიზება (მოქ.საბ. 1, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 13);
- დაახასიათოს გლობალური ეკონომიკის თავისებურებები, დაუკავშიროს იგი ყოველდღიურ ცხოვრებას (მოქ.საბ. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13).

მკვიდრი წარმოდგენები

- მსოფლიოს ყველა ქვეყნის ეკონომიკა ერთმანეთთან არის დაკავშირებული;
- პროდუქციის საყოველთაო ხელმისაწვდომობა გლობალური ეკონომიკის დამსახურებაა.